„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მიესალმება საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის გაზრდის მიმართულებით ფინანსთა სამინისტროს მიერ გადაგმულ ნაბიჯს

თბილისი, 22 დეკემბერი, 2008 წ. – „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო” მიესალმება ფინანსთა სამინისტროს მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომელმაც დღეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოაქვეყნა „დონორთა მხარდაჭერის მატრიცა”. ამ მატრიცაში მოცემულია ინფორმაცია 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი საერთაშორისო ფინანსური დახმარების განაწილების შესახებ.

ამა წლის 22 ოქტომბერს გამართულ დონორების კონფერენციაზე 38 ქვეყანა და 15 საერთაშორისო ორგანიზაცია საქართველოს მომდევნო სამი წლის მანძილზე დაახლოებით 4,5 მლრდ. აშშ დოლარის გამოყოფას დაჰპირდა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მაშინ გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ კონფერენციაზე წარდგენილი „საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი“, რომელიც საქართველოს მთავრობისა და რამდენიმე დონორი ორგანიზაციის მონაწილეობით მომზადდა და მასზე მუშაობის პროცესი ფართო საზოგადოებისთვის დახურული იყო.

“ამჯერად ფინანსთა სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საქართველოსთვის განკუთვნილი საერთაშორისო დახმარების გამჭვირვალობის გაზრდისკენ”, განაცხადა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა თამუნა ქაროსანიძემ. „დამაიმედებელია იმის დანახვა, რომ ფინანსთა სამინისტრო ცდილობს, ხელი შეუწყოს დახმარების თანხების განკარგვის გამჭვირვალობისა და ამ პროცესში მთავრობის ანგარიშვალდებულების ამაღლებას“.

დეკემბერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ” მოამზადა ანგარიში დახმარების განაწილებისა და ხარჯვის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რომელშიც ფინანსთა სამინისტროს მოუწოდა, ამ კუთხით უფრო აქტიური საინფორმაციო კამპანია განეხორციელებინა. „ფინასთა სამინისტროს ეს პასუხი ჩვენს ანგარიშზე ცხადყოფს, რომ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის კონსტრუქციულ ურთიერთთანამშრომლობას შეუძლია მკვეთრად გააუმჯობესოს ფინანსური დახმარების განკარგვის გამჭვირვალობა და ზედამხედველობა,” აღნიშნა თამუნა ქაროსანიძემ, – „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მომავალშიც გააგრძელებს დონორებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მუშაობას, რათა საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და შესაბამისად, ეფექტიანობის განმტკიცებაში.”

<u>საკონტაქტო ინფორმაცია</u>
თამუნა ქაროსანიძე
„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” აღმასრულებელი დირექტორი
tamuna@transparency.ge
ტელ. (+995 32) 92 14 03 ან 99 93 35

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ 2000 წლიდან იბრძვის კორუფციის წინააღმდეგ, მუშაობს მთავრობის ანგარიშვალდებულების დონის ასამაღლებლად და საქართველოში დემოკრატიის გასაძლიერებლად. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის არასამთავრობო, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულია თბილისში. როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ფილიალი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური კავშირი ან ანგარიშვალდებულება ბერლინში საერთაშორისო სამდივნოსთან, თუმცა მას შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო სამდივნოს მსოფლიოს მასშტაბით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება და ცოდნა.

<u>სასარგებლო ბმულები</u>

ფინანსთა სამინისტროს მატრიცა
http://www.mof.ge/Default.aspx?sec_id=3212&lang=2

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მონაცემთა ბაზა საქართველოსთვის დაპირებული და გამოყოფილი ფინანსური დახმარების შესახებ (დეკემბერი, 2008 წ.)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=215&info_id=469

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" საზოგადოებრივი აზრის კვლევა საერთაშორისო ფინანსური დახმარების შესახებ (დეკემბერი, 2008 წ.)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=215&info_id=463

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ანგარიში საერთაშორისო ფინანსური დახმარების გამჭვირვალობის შესახებ (დეკემბერი, 2008 წ.)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=215&info_id=453

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" პრესრელიზი ბრიუსელის დონორთა კონფერენციის შესახებ (ოქტომბერი, 2008 წ.)
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=50600&info_id=438

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26, Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge